



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ფილოლოგია / English Philology
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in English Philology 0231.1.2
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	<p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.</p> <p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.</p> <p>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტებისრაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p>

<p>პროგრამის ხელმძღვანელი</p>	<p>სოფიო მორალიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში)  მაკა შეროზია, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში)</p>
-------------------------------	--

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>პროგრამის მიზნები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესძინოს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს, მათ შორის ინგლისური ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის, ბრიტანული კულტურის და ლიტერატურის საკითხების, ფართო ცოდნა და მისი კრეატიულად გამოყენების უნარი;</li> <li>• განუვითაროს ინგლისურ ენაზე სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის როგორც წერიითი, ისე ზეპირი ფორმით თავისუფალი კომუნიკაციის განხორციელების უნარი;</li> <li>• განუვითაროს მეორე უცხოურ ენაზე (გერმანულ/რუსულ) B1 დონეზე კომუნიკაციის განხორციელების უნარი;</li> <li>• განუვითაროს პროფესიულ, ლინგვისტურ თუ ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებისა და სტანდარტული, ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; ანალიზის უნარი;</li> <li>• მისცეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და შრომის ბაზრის შესაბამისი განათლება, რითაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე;</li> <li>• შეუქმნას მყარი საფუძვლი ზედა საფეხურის აკადემიური პროგრამის უკეთ დაუფლებისათვის;</li> </ul>
--------------------------	--

<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.</p> <p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.</p> <p><b>შენიშვნა:</b> პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ ტარდება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ჩარიცხულ სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის განსასაზღვრად, რათა შემდგომ ისინი გადანაწილდნენ შესაბამისი დონის ენობრივ ჯგუფებში (1. ინტენსიური ენის კურსი (A2+B1.1) და 2. ინგლისური ენის კურსი (B1.1))</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იყენებს ინგლისური ენის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ლექსიკა, გრამატიკა, კომუნიკაციური კომპეტენცია) ცოდნას B2 დონეზე წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, ზოგად და სპეციფიკურ კონტექსტში, მ. შ. რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადასაჭრელად;</li> <li>• აღწერს ფილოლოგიის მოვლენებს, მთავარ პრინციპებს, კონცეფციებს, თეორიებს, მეთოდებს და იყენებს მათ პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად;</li> <li>• განიხილავს ინგლისური ენის განვითარების სპეციფიკას ბრიტანული კულტურის, ისტორიის და გეოგრაფიის (ენის გავრცელების არეალის) ჭრილში;</li> <li>• იყენებს რომელიმე მეორე უცხოურ ენას (გერმანულ/რუსულ) B 1 დონეზე;</li> <li>• ახდენს ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზს ლიტერატურათმცოდნეობის და სტილისტური მეთოდების გამოყენებით;</li> <li>• აყალიბებს და გადაცემს პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სპეციფიკური შინაარსის ტექსტებს, ინგლისური ფილოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარ პასუხისმგებლიან მოსაზრებებს და არგუმენტირებულ დასკვნებს წერილობითი და ვერბალური ფორმით, შესაბამისი ტერმინოლოგიის დაცვით ქართულ და ინგლისურ ენაზე, სპეციალისტებისთვის (და არასპეციალისტებისთვის), თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით;</li> <li>• სხვადასხვა წყაროდან მოიძიებს და კრიტიკულად იაზრებს/ანალიზებს ინფორმაციას/მასალას (თეორიული</li> </ul>

წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრს) ეთიკური ნორმების დაცვით.		
	მიზნები	შედეგები
პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შედარება	განუვითაროს ინგლისურ ენაზე სხვადასხვა მიზნისა და აუდიტორიისათვის როგორც წერიტი, ისე ზეპირი ფორმით თავისუფალი კომუნიკაციის განხორციელების უნარი;	16
	შემიწოდოს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს, მათ შორის ინგლისური ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის, ბრიტანული კულტურის და ლიტერატურის საკითხების, ფართო ცოდნა და მისი კრეატიულად გამოყენების უნარი	1 2 3 5 6
	განუვითაროს B1 დონეზე რუსულ/გერმანულენოვანი კომუნიკაციის განხორციელების უნარი	4
	განუვითაროს პროფესიულ, ლინგვისტურ თუ ლიტერატურულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებისა და სტანდარტული, ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; ანალიზის უნარი;	1 2 3 5 7
	მიცეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებისა და შრომის ბაზრის შესაბამისი განათლება, რითაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე	1 2 3 4 5 6 7
	შეუქმნას მყარი საფუძველი ზედა საფეხურის აკადემიური პროგრამის უკეთ დაუფლებისათვის	1 2 3 4 5 6 7

სწავლა-სწავლების  
მეთოდები

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა.

ლექციები ინტერაქტიულია. მათი დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება და პრობლემურ დონეზე განხილვა, სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სწავლის ორიენტირების ჩამოყალიბება. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე. სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მუშაობის დანიშნულება ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება და მისი პრაქტიკული აპლიკაციაა. აქ ხდება თეორიული მასალის გააზრება, მოსაზრებების ჩამოყალიბება და გაზიარება, კამათი და პოზიციის არგუმენტირება, კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, პროფესიული საქმიანობის ჩვევების ფორმირება.

სწავლა-სწავლების მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (ვერბალური გადმოცემა, ანალიზი, აუდიო ლინგვო, TBL, ახსნა-განმარტება, გონებრივი იერიში, დედუქცია, დისკუსია/დებატები, ინდუქცია, კრიტიკული/კრიტიკულ-ანალიტიკური კითხვა, პრეზენტაცია/დემონსტრირება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), როლური/სიტუაციური თამაშები, შებრუნებული სწავლება (flipped learning) (სოკრატული სწავლება), შემთხვევის ანალიზი (case study)/ვიდეოს ანალიზი, წერიტი მუშაობა, წიგნზე მუშაობა, წყვილური და ჯგუფური (pair & group/collaborative) მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, კითხვა-პასუხი/საკონტროლო კითხვები, სინთეზი, შედარება-შეპირისპირება, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, სწავლა სწავლებით, აღმოჩენებით სწავლა, ელექტრონული რესურსით სწავლება, დისკუსია მოწვეულ პირთან.

ვერბალური გადმოცემა	თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ
ანალიზი	გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, რითაც მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება
აუდიო-ლინგვო	გამოიყენება უცხო ენის სასწავლებლად, რათა მოხდეს სტუდენტის მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარება
TBL	წარმოადგენს დავალებას, ამოცანას, რომლის მიზანსაც პიროვნება ლაპარაკის საშუალებით აღწევს. აქ უპირატესობა ენიჭება ნათქვამის შინაარსისა და

	მნიშვნელობის გაგებას, ხოლო წინადადების აგებისას გამოყენებული გრამატიკული სტრუქტურების სისწორე მეორეხარისხოვანია.
ახსნა-განმარტება	ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ - პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში
გონებრივი იერიში	გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას, რაც ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას
დედუქცია	განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულსაკენ
დისკუსია/დებატები	ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომელიც მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს
ინდუქცია	განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ
პრაქტიკული მუშაობა	სტუდენტი შექნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, რაც მას პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს
კრიტიკული/კრიტიკულ-ანალიტიკური კითხვა	გულისხმობს წაკითხული ტექსტის შეფასებას ობიექტურ მონაცემებსა და/ან ანალიზზე დაყრდნობით
პრეზენტაცია/დემონსტრირება	გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს, რაც, შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, საკმაოდ ეფექტურია, შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ. დემონსტრირება შეიძლება განხორციელდეს ფილმის, ვიდეო-მასალის და ა. შ. ჩვენებითაც
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)	სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას

როლური/სიტუაციური თამაშები	როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში
შებრუნებული სწავლება (flipped learning) (სოკრატული სწავლება)	გულისხმობს სტუდენტებისთვის სასწავლო მასალის წინასწარ გაცნობას და მის შემეცნების პროცესში აქტიურ ჩართვას, საკუთარი ცოდნის აგებაში მათ დახმარებას, ცოდნის ფრაგმენტების გაცოცხლებას და ახალი ცოდნით შევსებას მიზნობრივი შეკითხვების დასმით
შემთხვევის ანალიზი (case study)/ვიდეოს ანალიზი	პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს/ვიდეოებს ცოდნის თეორიული ასპექტების კონკრეტულ სიტუაციებთან მისადაგების მიზნით
წერთი მუშაობა	სტუდენტთა მიერ სხვადასხვა დავალებების წერთი ფორმით შესრულებას/წარმოდგენას
წიგნზე მუშაობა	სასწავლო ლიტერატურის დამოუკიდებლად დამუშავება
წყვილური და ჯგუფური (pair & group/collaborative) მუშაობა	გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად/წყვილებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის/წყვილის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს სხვა წევრ(ებ)ს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში
ინდივიდუალური მუშაობა	კონკრეტული სტუდენტის მიერ დავალების დამოუკიდებლად/ინდივიდუალურად შესრულება
კითხვა-პასუხი/საკონტროლო კითხვები	კითხვა-პასუხის რეჟიმში ხდება საკვანძო საკითხებზე ყურადღების გამახვილება, სტუდენტების მიერ მასალის აღქმის/გაგების მიზნობრივად გადამოწმება უკუკავშირის შედეგად
სინთეზი	გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
შედარება-შეპირისპირება	სხვადასხვა ეპოქის/ავტორის/ ნაწარმოების/ყანრის და სხვ. შედარება საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოკვეთის და მათი სიღრმისეულად შესწავლის მიზნით
თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება	იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ

	შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება	მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია
სწავლა სწავლებით	მეთოდი გულისხმობს სტუდენტების მიერ პროფესორის დახმარებით ლექციის მომზადებას და ჩატარებას - სტუდენტი სწავლობს და შემდეგ ნასწავლს ასწავლის დანარჩენ სტუდენტებს. პროფესორი ამ შემთხვევაში მხოლოდ „დირიჟორია“, რომელიც მიმართულებას აძლევს ლექციას. ასე შიძლება ჩატარდეს მთელი ლექცია ან ლექციის ნაწილი, ყველა ლექცია ან რამდენიმე (რომელიმე)
აღმოჩენებით სწავლა	ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას, რაც სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
ელექტრონული რესურსით სწავლება	სასწავლო პროცესში ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენება (ელ. პლათფორმის, ელ. მასალის, ვიდეოს და სხვ.) გამოყენება
დისკუსია მოწვეულ პირთან	კონკრეტული, სპეციფიური თემების/საკითხების პრაქტიკასთან უშუალო კავშირში გაშუქება დარგის სპეციალისტის, შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის ერთჯერადად სასწავლო პროცესში ჩართვის გზით

**შენიშვნა:** კონკრეტული აქტივობის ან მათი კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი –91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;
- (C) კარგი –71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;
- (E) საკმარისი –51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა –40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

<p>დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების საშუალება</p>	<p>შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურებში: არასაგანმანათლებლო, კულტურის და საგამომცემლო დაწესებულებებში, აგრეთვე საინფორმაციო საშუალებების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ბიზნესის სფეროებში. ეს შეიძლება იყოს: არქივი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ტურისტული კომპანია, მასმედია, საელჩო, ენათა ცენტრი და სხვა.</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>
<p>პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</p>	<p>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უსდ-ს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;</li> <li>• კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;</li> <li>• კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;</li> <li>• სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები.</li> </ul> <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უსდ-ს ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უსდ-ს ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.</p> <p>უსდ-ს საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:</p> <p><b>შენობა-ნაგებობანი</b> - საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უსდ-ს მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები. შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.</p> <p>უნივერსიტეტში ფუნქციონირებს <b>ენების ცენტრი</b>, სადაც სტუდენტები ახდენენ ენობრივი უნარების განვითარებას. აქვე მათ აქვთ შესაძლებლობა ჩააბარონ კემბრიჯის სასერთიფიკაციო კურსის (CAE) C1 დონის შესაბამისი</p>

	<p>იმიტირებული გამოცდა და მიიღონ შესაბამისი სერთიფიკატი. ინგლისური ენის შესწავლა ხორციელდება ონლაინ პლათფორმით myenglishlab (გამომცემლობა Person) შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.</p> <p><b>ბიბლიოთეკა</b> - უსდ-ს ბიბლიოთეკაში დაცულია პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები, პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია online რეჟიმში სახელმძღვანელოებითა და სხვა ინტერნეტ რესურსებით სარგებლობა. მათ შორის EBSCOHost (<a href="http://search.epnet.com">http://search.epnet.com</a>), Cambridge University Journals (<a href="http://journals.cambridge.org">http://journals.cambridge.org</a>) ელექტრონული ბიბლიოთეკებით.</p> <p><b>აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე</b> - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.</p> <p><b>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები</b> საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უსდ იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტში დანერგულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.</p> <p>უსდ-ს ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უსდ უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.</p>
<p>პროგრამის ადამიანური რესურსი</p>	<p>პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი (დანართი 2).</p> <p>უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მომსახურების სერვისი, რაც უადვილებს მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიღებას.</p>

## პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტები ორიენტირებულია ინგლისური ფილოლოგიის სფეროში ბაკალავრის საქმიანობისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების მიღწევის უზრუნველყოფაზე და აგებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების (მეექვსე დონე) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული შინაარსის შესაბამისად, ინგლისური ფილოლოგიის სფეროს განვითარების ტენდენციების, ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის დასაქმების ბაზრის მოთხოვნების, ევროპის უნივერსიტეტების პრაქტიკის გათვალისწინებით.

ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალი კომპონენტების მეშვეობით. პირველი მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, აგრეთვე, სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომს და პრაქტიკას. მეორე მოიცავს სტუდენტებისათვის ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის, ასევე მათთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვალსაწიერის გაფართოების მიზნით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები პროგრამაში დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას ემსხურება. მათი ლოგიკური თანმიმდევრულობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში (დანართი 1).

### ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - 240 კრედიტი, მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები:
  - სავალდებულო თეორიული ან/და პრაქტიკული შინაარსის სასწავლო კურსები
  - სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი
  - სავალდებულო პრაქტიკა
  - არჩევითი სასწავლო კურსები
- თავისუფალი სასწავლო კურსები:
  - სავალდებულო (მ.შ. სავალდებულოდ ასარჩევი მეორე ენა)
  - არჩევითი
- პროგრამაში მითითებული თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები შერჩეულია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, რათა ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრმა შეძლოს წარმატებული პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება სხვადასხვა (ტურიზმის/ბიზნესის/ სამართლის/ საერთაშორისო ურთიერთობების და სხვ.) სფეროში.
- თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსად სტუდენტს, შეუძლია აირჩიოს უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი სხვა საბაკალავრო პროგრამის მისთვის სასურველი სასწავლო კურსი შესაბამისი წინაპირობის და სწავლების სემესტრის გათვალისწინებით.

მისაღწევი შედეგების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და სასწავლო გეგმას (დანართი 1)

პროგრამის 240 კრედიტის განაწილება	ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები 141 კრედიტი	• ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები - 121 კრედიტი
		• საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი
		• პრაქტიკა - 5 კრედიტი
		• ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი
	თავისუფალი კომპონენტი 99 კრედიტი	• თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 52 კრედიტი
		• თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 47 კრედიტი

სტუდენტის მიერ მეორე უცხოურ ენად გერმანულის არჩევის შემთხვევაში, ვალდებულება აქვს თავისუფალი არჩევითი კრედიტების ხარჯზე გაიღრმავოს ენის კომპეტენციები 7 კრედიტის ფარგლებში.

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>2</sup>	
				I წელი				II წელი				საკონტაქტო საათები <sup>3</sup>	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			თავისუფალი (სავალდებულო) კურსები (52)	10	5	5	5			5			
1.	SFB.1	არ გააჩნია	აკადემიური წერა			5/125							

			Academic Writing (Eng)																
2.	SFB.2	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5/125															
3.	SFB.3	არ გააჩნია	დემოკრატია და მოქალაქეობა	5/125															
4.			ქართული ენის სწავლების სპეციალური კურსი		5/12 5														
			წერისა და კვლევის მეთოდები																5/125
			მეორე უცხოურ ენის კომპონენტი (გერმანული/რუსული)																
			უცხოური (გერმანული) ენის კომპონენტი <sup>5</sup> (27)	5	5	5	5	7											
5.	SFB.5.1.1	SFB.5.1.5	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B1.1)	5/125															
6.	SFB.5.1.2	SFB.5.1.1	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B1.2)		5/125														
7.	SFB.5.1.3	SFB.5.1.2	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B2.1)					5/125											
8.	SFB.5.1.4	SFB.5.1.3	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B2.2)							5/125									

<sup>1</sup> ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

<sup>2</sup> დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

<sup>3</sup> საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო

<sup>4</sup> საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

<sup>5</sup> უცხოური (გერმანული) ენის კომპონენტი - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული გერმანული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად დაუდგინდა გერმანული ენის ფლობის A2 დონე.

<sup>6</sup> უცხოური (გერმანული) ენის კომპონენტი - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული გერმანული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად დაუდგინდა გერმანული ენის ფლობის A1 დონე.



№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>2</sup>	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები <sup>3</sup>	დამოუკიდებელი
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			უცხოური (გერმანული) ენის კომპონენტი <sup>6</sup>										
	SFB.5.1.4	არ გააჩნია	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (A 2.1)										
	SFB.5.1.5	SFB.5.1.4	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (A 2.2)										
	SFB.5.1.1	SFB.5.1.5	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B 1.1)										
	SFB.5.1.2	SFB.5.1.1	გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B 1.2)										
			გერმანული ენის პრაქტიკული კურსი (B 1.2)					7/175					
			უცხოური (რუსული) ენის კომპონენტი										
	SFB.5.2.1	SFB.5.2.2	რუსული ენის პრაქტიკული კურსი (B 2.1.1)										
	SFB.5.2.2	SFB.5.2.1	რუსული ენის პრაქტიკული კურსი (B 2.1.2)										
	SFB.5.2.3	SFB.5.2.2	რუსული ენის პრაქტიკული კურსი (B 2.2.1)										
	SFB.5.2.4	SFB.5.2.3	რუსული ენის პრაქტიკული კურსი (B 2.2.2)										
			უცხოური (რუსული) ენის კომპონენტი (20)										

	SFB.5.2.3		რუსული ენის პრაქტიკული კურსი (B1.1)										
	SFB.5.2.1		რუსული ენის პრაქტიკული კურსი (A 2.2)										
	SFB.5.2.4		რუსული ენის პრაქტიკული კურსი (B 1.1)										
	SFB.5.2.2		რუსული ენის პრაქტიკული კურსი (B 1.2)										
			<b>ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მოდულები და სასწავლო კურსები/საგნები (121)</b>	15	20	5	20	18	13	15	15		
9.	SEPBO231.1	არ გააჩნია	ენობრივი უნარები 1 (ინგლისური ენა B 1.1) ან ენობრივი უნარები 1 (ინგლისური ენის ინტენსიური კურსი - A2; B1.1)	5/125								55	66
10.	SEPBO231.2	არ გააჩნია	ინგლისური ენის გრამატიკა 1	3/75								26	46
11.	SEPBO231.3	არ გააჩნია	ინგლისური ენის პრაქტიკული ფონეტიკა	3/75								26	46
12.	SEPBO231.4	არ გააჩნია	ენათმეცნიერების შესავალი	4/100								42	54
13.	SEPBO231.5	არ გააჩნია	შესავალი ლიტ.მცოდნეობაში		4/100							29	68
14.	SEPBO231.6	SEPBO231.1	ენობრივი უნარები 2 (ინგლისური ენა B 1.2)		5/125							55	66
15.	SEPBO231.7	SEPBO231.2	ინგლისური ენის გრამატიკა 2		3/75							26	46
16.	SEPBO231.8	SEPBO231.3	ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა		3/75							26	44

17.	SEPBO231.9	არ გააჩნია	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5/125						41	80
18.	SEPBO231.10	SEPBO231.6	ენობრივი უნარები 3 (ინგლისური ენა B2.1)		5/125					55	66
19.	SEPBO231.11	SEPBO231. 6	ციფრული მედიის ენა			4/100				39	56
20.	SEPBO231.12	SEPBO231. 6	შუასაუკუნეების და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურის ისტორია			4/100				42	54
21.	SEPBO231.13	SEPBO231. 6	ბრიტანულ-ამერიკული ენა და კულტურა			3/75				29	42
22.	SEPBO231.14	SEPBO231. 9	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია				5/125			43	78
23.	SEPBO231.15	SEPBO231. 10	ენობრივი უნარები 4 (ინგლისური ენა B2.2)			5/125				55	65
24.	SEPBO231.16	SEPBO231.12	XVII-XVIII საუკუნეების ინგლისური ლიტერატურის ისტორია			4/100				42	54
25.	SEPBO231.17	SEPBO231. 10	ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა					4/100		43	78
26.	SEPBO231.18	SEPBO231. 15	ენობრივი უნარები 5 (კემბრიჯის პირველი სასერთიფიკაციო კურსი FCE1.1)				5/125			55	66

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი <sup>1</sup>								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა <sup>2</sup>	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები <sup>3</sup>	დამოუკიდებელი საათები <sup>4</sup>
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
27.	SEPBO231.19	SEPBO231.15	ინგლისური ენის ისტორია					4/100				43	53
28.	SEPBO231.20	SEPBO231.16	XIX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია					4/100				42	52
29.	SEPBO231.21	SEPBO231.18	ენობრივი უნარები 6 (კემბრიჯის პირველი სასერთიფიკაციო კურსი FCE1.2)						5/125			56	64
30.	SEPBO231.22	SEPBO231.20	XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის ისტორია						4/100			42	79
31.	SEPBO231.23	SEPBO231.21	ანალიზური კითხვა							5/125		43	79
32.	SEPBO231.24	SEPBO231. SEPBO231.9	General Linguistics							4/100		39	55
33.	SEPBO231.25	SEPBO231.23	ინგლისური ენის სტილისტიკა							5/125		43	78
34.	SEPBO231.26		საბაკალავრო ნაშრომი								10/100	49	201
35.	SEPBO231.27		პრაქტიკა								5/125	112	9

			ძირითადი სპეციალობი არჩევითი მოდულები და სასწავლო კურსები/საგნები (20 )		5		5	5	5			
36.	SEPBO231.28	არ გააჩნია	ანტიკური ლიტერატურის ისტორია		X		X	X	X		42	79
37.	SEPBO231.29	SEPBO231.10	ბრიტანეთის და ამერიკის ისტორია და გეოგრაფია		X		X	X	X		39	82
38.	SEPBO231.30	არ გააჩნია	საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია		X		X	X	X		42	79
39.	SEPBO231.31	SEPBO231.21	ინგლისურენოვანი ტექსტის რეფერირება-რეცენზირება				X	X			42	79
40.	SEPBO231.32	SEPBO231.6	ბიზნესის ინგლისური 1		X		X	X			55	65
41.	SEPBO231.33	SEPBO231.32	ბიზნესის ინგლისური 2				X	X	X		55	65
42.	SEPBO231.34	SEPBO231.6	სამართლებრივი ინგლისური 1		X		X	X			55	66
43.	SEPBO231.35	SEPBO231.34	სამართლებრივი ინგლისური 2				X	X	X		55	66
44.	SEPBO231.36	SEPBO231.6	ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისასათვის 1		X		X	X			56	65
45.	SEPBO231.37	SEPBO231.36	ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისასათვის 2				X	X	X		56	65
46.	SEPBO231.38	SEPBO231.6	ტურიზმის ინგლისური 1		X		X	X			55	65
47.	SEPBO231.39	SEPBO231.38	ტურიზმის ინგლისური 2				X	X	X		55	65

48	SEPBO231.41	SEPBO231.6	ამერიკული ლიტერატურა									39	82
49.	SEPBO231.42	არ გაჩნია	თანამედროვე ინგლისური ლიტერატურა 1			X		X	X			42	79
50	SEPBO231.43	SEPBO231.18	თანამედროვე ინგლისური ლიტერატურა 2					X	X	X		42	79
51.	SEPBO231.44	SEPBO231.18	თარგმნის თეორია და პრაქტიკა					X	X	X		41	80
52.	SEPBO231.45	SEPBO231.21	ზეპირი და წერიტი თარგმანი			X		X	X	X		41	78
53.	SEPBO231.46	SEPBO231.15 / SEPBO231.12	შექსპირი					X	X	X		42	77
54.	SEPBO231.47	SEPBO231.11	სოციალური ქსელების ენა					X	X	X		39	82
55.	SEPBO231.48	SEPBO231.18	ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია					X	X	X		39	81
56.	SEPBO231.49	SEPBO231.4	თეორიული ენათმეცნიერება			X		X	X	X		42	79
57	SEPBO231.50	არ გააჩნია	ქართული ენის სტილისტიკა			X		X	X	X		39	82
58	SEPBO231.51	SEPBO231.18	გამოყენებითი ლინგვისტიკა			X		X	X	X		42	79
<b>თავისუფალი(არჩევითი) სასწავლო კურსები - 47</b>						10	5		12	4	16		
სემესტრში				30	30	30	30	30	30	29	31		
წელიწადში				60		60		60		60			











